სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი

წინასიტყვაობა

დღესდღეობით საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული 4472 სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ცალკეული კერძო სამართლის იურდიული პირი ან სხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე შემსყიდველი ორგანიზაცია თავისი საქმიანობის შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით ყოველწლიურად ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს. ამ პროცესში სახელმწიფოს მხრიდან კოლოსალური თანხები იხარჯება. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ ჩვენს ქვეყანაში 2016 წელს 4 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლებში სახელმწიფო შესყიდვებზე დახარჯულ საბიუჯეტო სახსრებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვების ხვედრითი წილის მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტში საკმაოდ მაღალია და იგი დაახლოებით 12%-ის ფარგლებში მერყეობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უდავოა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის, ვინაიდან გამართული სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით შესაძლებელია დაიზოგოს სახელმწიფო სახსრები და თავიდან იქნეს არიდებული მათი არარაციონალური ხარჯვა.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს კორუფციისადმი ერთ-ერთ ყველაზე მიდრეკილ სფეროს. არაეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა აფერხებს ბაზარზე კონკურენციას და შედეგად იწვევს საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გადახდილი თანხის ზრდას. ეს კი, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ დასახული ამბიციური პროექტების და გეგმების განხორციელებაზე, ასევე იწვევს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ გაუცხოებასა და ნდობის დაკნინებას. ამდენად, ხელისუფლების ვალდებულებაა შეინარჩუნოს და კიდევ უფრო მეტად გააღრმაოს ათობით ათასი მეწარმე სუბიექტის, ეკონომიკური ოპერატორის, ინვესტორის და ზოგადად, საზოგადოების ნდობა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მიმართ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2014-2017 წლებში ამ თვალსაზრისით კარდინალური და მასშტაბური ხასიათის რეფორმები გატარდა, რომლებიც შეეხო როგორც ნორმატიული ბაზის სრულყოფას, ისე სისტემაში ახალი პლატფორმების,

ელექტრონული სერვისების ინტეგრირებას, ასევე შესყიდვის ახალი პროცედურებისა და მეთოდების დანერგვას.

ყოველი რეფორმა და ნოვაცია ემსახურება იმ მისწრაფებების ცხოვრებაში ხორცშესხმას, რომელიც საქართველოს სახელმწიფომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში დაისახა ქვეყნის შემდგომი მოდერნიზაციისა და ევროპულ ოჯახში დამკვიდრების მიზნით. აღნიშნულის კვალდაკვალ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №536 დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი“. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად მიუყვება ამ გზამკვლევით მის მიერ განსახორციელებელ ვალდებულებებს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მხოლოდ სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა და გამართული შესყიდვების სისტემა ვერ განაპირობებს სახელმწიფო შესყიდვების წარმატებით ჩატარებას, თუკი შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირები ყოველდღიურ საქმიანობაში განუხრელად არ დაიცავენ დეკლარირებულ პრინციპებსა და სამართლებრივ ნორმებს. ამ თვალსაზრისით, თავისი დატვირთვა გააჩნია ეთიკურ სტანდარტებს, რომლებმაც კონკრეტულ პირებს უნდა შეახსენოს ის მაღალი პასუხისმგებლობა და, გადაჭარბების გარეშე, მისია, რაც მათ, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებს, აკისრიათ საზოგადოების წინაშე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გადაწყვიტა შეემუშავებინა და სამოქმედოდ შემოეღო სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მონაწილეთა ქცევის საერთო წესების დასადგენად, რათა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში დაცულ იქნეს პროფესიულ-ეთიკური სტანდარტები. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ პროფესიული ეთიკა არის ღია, ერთიანი და გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების საფუძველი. ეთიკური ქცევის პროფესიული სტანდარტები უნივერსალურია და აერთიანებს პატიოსნებისა და ნდობის, კანონმორჩილების, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კონფიდენციალურობის, გულისხმიერებისა და წინდახედულობის, გამჭვირვალობისა და ღიაობის, ანგარიშვალდებულების, პროპორციულობის და პროფესიონალიზმის პრინციპებს, იმისდა მიუხედავად, თუ რა სიდიდის და საქმიანობის რომელი ტიპის შემსყიდველ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე.

წინამდებარე კოდექსი ნათლად განსაზღვრავს იმ ძირითად პროფესიულ-ეთიკურ პრინციპებს და მიდგომებს, რაც სახელმწიფო შესყიდვების პროცესს გაჰყვება ქვაკუთხედად. ეს კი ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მაღალი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრებას, ისევე როგორც, უზრუნველყოფს

საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების პროცესისადმი ნდობის ამაღლებას. კოდექსის პროექტზე მუშაობისას შესწავლილი, გაანალიზებული და გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), ევროკავშირის (EU), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) და სხვათა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში დამკვიდრებული ეთიკური ქცევის სტანდარტები და მიდგომები, ასევე გაეროს საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსი, UNCITRAL-ის მოდელური კანონი საჯარო შესყიდვების შესახებ, ევროპის საბჭოს მოდელური ქცევის კოდექსი საჯარო მოხელეებისთვის.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მადლობას უხდის USAID HICD2020 პროგრამას გაწეული საექსპერტო დახმარებისათვის, ვინაიდან მათ მიერ შერჩეული საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული გერმანელი ექსპერტის ბატონი ჰოპპე რჩევები ფრიად საგულისხმო და ღირებული იყო.

დაბოლოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გამოთქვამს იმედს, რომ ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა სტატუსის მატარებელი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მიუხედავად კოდექსის არანორმატიული ხასიათისა, ნათლად გააცნობიერებენ დოკუმენტის მნიშვნელობას სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ეფექტიანად, ტრანსპარენტულად და სამართლიანად წარმართვის საქმეში და თითოეულ მათ ქმედებას განახორციელებენ წინამდებარე კოდექსში დამკვიდრებულ დებულებათა დაცვის სულისკვეთებით.

პრეამბულა

შემსყიდველი ორგანიზაციების უფლებამოსილი წარმომადგენლები, აცნობიერებენ რა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალე გარემოში წარმართვის ფაქტორს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მნიშვნელობას საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისა და მიმწოდებელთა შორის ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის გზით;

გააზრებული აქვთ რა საზოგადოების წინაშე სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირების ნებისმიერი ქმედებისა და ამ პროცესში მათი კეთილსინდისიერი და სანიმუშო ქცევის განსაკუთრებული მნიშვნელობა;

ითვალისწინებენ რა, რომ ამ კოდექსით დეკლარირებული პროფესიულ-ეთიკური პრინციპების განუხრელმა დაცვამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის მხრიდან შემსყიდველი ორგანიზაციების პრესტიჟისა და ავტორიტეტის ამაღლებასა და მათდამი ნდობის განმტკიცებას;

მიისწრაფვიან რა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებულ პირთა ურთიერთთანამშრომლობისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებისაკენ;

იღებენ ვალდებულებას, რომ განუხრელად დაიცვან წინამდებარე კოდექსში ჩამოყალიბებული წესები და პრინციპები.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

1. სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი (შემდგომ – კოდექსი) განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ, შემსყიდველ ორგანიზაციებში მომუშავე უფლებამოსილ პირთა (შემდგომ – უფლებამოსილი პირი) ქცევის პროფესიულ-ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომელთა შესრულება და დაცვა ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

2. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ყველა უფლებამოსილ პირზე და მათ მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, ხოლო ამ კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილი მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და მე-10 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებული წესები, აგრეთვე უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც აღარ მუშაობენ შემსყიდველ ორგანიზაციაში.

მუხლი 2. კოდექსის მიზანი

ამ კოდექსის მიზანია, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას უფლებამოსილ პირთა საქმიანობაში პროფესიული ეთიკის ზოგადი პრინციპებისა და სტანდარტების დამკვიდრება.

მუხლი 3. კოდექსის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო პრაქტიკასთან

კოდექსი გამომდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სულისკვეთებიდან და ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

მუხლი 4. კოდექსში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კოდექსის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, ასევე, მის საფუძველზე გამოცემულ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

თავი II
პროფესიული საქმიანობის პრინციპები

მუხლი 5. ეთიკის 10 ძირითადი პრინციპი

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიცვას შემდეგი 10 ძირითადი პრინციპი:

ა) პატიოსნება და ნდობა;

ბ) კანონმორჩილება;

გ) მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება;

დ) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა;

ე) კონფიდენციალურობა;

ვ) გულისხმიერება და წინდახედულობა;

ზ) გამჭვირვალობა და ღიაობა;

თ) ანგარიშვალდებულება;

ი) პროპორციულობა;

კ) პროფესიონალიზმი.

მუხლი 6. პატიოსნებისა და ნდობის პრინციპი

1. უფლებამოსილი პირი პატიოსნად უნდა ასრულებდეს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს და აცნობიერებდეს საკუთარ პასუხისმგებლობას.

2. უფლებამოსილი პირი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უნდა იწვევდეს ნდობას მესამე პირებში.

3. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს პატიოსნებისა და ნდობის პრინციპი, უფლებამოსილმა პირმა:

ა) უნდა გაატაროს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესები;

ბ) ყოველდღიური საქმიანობა და ქცევა უნდა დააფუძნოს ისეთ თვისებებსა და ფასეულობებზე, როგორიცაა: წესიერება, უტყუარობა, სიზუსტე, პროდუქტიულობა;

გ) არ უნდა იმოქმედოს პირადი გამორჩენის მიზნით;

დ) გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა დაუშვას მასზე არამართლზომიერი ზეწოლა (ჩარევა);

ე) ბოროტად არ უნდა გამოიყენოს სამსახურეობრივი უფლებამოსილება;

ვ) თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მისი პროფესიული საქმიანობის ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრედიტაცია;

ზ) უნდა იყოს საკუთარი საქმის ერთგული, თავისი მოვალეობების შესრულების დროს იმოქმედოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს დოკუმენტაცია;

ი) საკუთარი კოლეგების მხრიდან არაეთიკური ქცევის შემთხვევაში უნდა იმოქმედოს იმ წესების შესაბამისად, რომელიც დადგენილია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის V[1] თავით.

მუხლი 7. კანონმორჩილების პრინციპი

1. უფლებამოსილი პირი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უნდა ხელმძღვანელობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესებით და მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას უნდა დაიცვას შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი წესები, ინსტრუქციები და მითითებები. ამავდროულად, მან არ უნდა დაუშვას საკუთარ საქმიანობაში რომელიმე სხვა ორგანიზაციის, სახელმწიფო უწყების ან სხვა დაინტერესებული მხარის/პირის არამართლზომიერი ჩარევა.

2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს კანონმორჩილების პრინციპი, უფლებამოსილმა პირმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში:

ა) არ უნდა მიიღოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, შედის თუ არა იგი შემსყიდველი ორგანიზაციის ან მიმწოდებლის ინტერესებში;

ბ) პატივი უნდა სცეს და გაითავისოს მის პროფესიულ საქმიანობასა და შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონები, შესაბამისი წესები და ინსტრუქციები, სწორად განმარტოს და გამოიყენოს შესაბამისი ნორმები;

გ) უნდა განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესი ეფექტიანად და რაციონალურად შესაბამისი ნორმების, წესებისა და ინსტრუქციების დაცვით;

დ) უარი უნდა თქვას ისეთ ქმედებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის, ამ კოდექსით გათვალისწინებულ ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს;

ე) სათანადოდ უნდა დაასაბუთოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, იმისათვის რათა დაინტერესებულ მხარეს არ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები შესაბამისი გადაწყვეტილების მართლზომიერების თაობაზე;

ვ) გამოიყენოს საკუთარი თანამდებობა და უფლებამოსილება კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ მისთვის მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად, შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების დაცვისა და გატარების მიზნით.

მუხლი 8. მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი

1. უფლებამოსილი პირი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უნდა მოქმედებდეს ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპების დაცვით.

2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი, უფლებამოსილმა პირმა:

ა) არ უნდა დაუშვას ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია;

ბ) უნდა გამოიყენოს ერთიანი სტანდარტები და პირობები მიმწოდებლების შეფასებისას;

გ) თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა და ობიექტურობა;

დ) ჯეროვნად და დათქმულ ვადაში უნდა შეასრულოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული ყველა მოვალეობა;

ე) არავის არ უნდა მიანიჭოს რაიმე სახის უპირატესობა ან ჩააყენოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში;
ვ) არ უნდა მიიღოს ან/და მოითხოვოს ისეთი მატერიალური ან არამატერიალური საჩუქარი, ჯილდო ან სარგებელი, რომელიც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით და ეჭქვეშ დააყენებს მის მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებას. ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილმა პირმა:
ვ.ა) არ უნდა მიიღოს ასეთი სარგებელი, ხოლო შეთავაზების შესახებ წერილობით შეატყობინოს თავის უშუალო ხელმძღვანელს და საჯარო სამსახურის ბიუროს;
ვ.ბ) შეეცადოს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელმაც ასეთი წინადადება შესთავაზა;
ვ.გ) შეზღუდოს იმ პირთან კონტაქტი, რომელმაც ასეთი წინადადება შესთავაზა, და შეეცადოს მისი შეთავაზების საფუძვლის დადგენას;
ვ.დ) თუ საჩუქარზე უარის თქმა ან მისი დაბრუნება შეუძლებელია, საჩუქარი გადასცეს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

1. უფლებამოსილმა პირმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში თავი უნდა აარიდოს ისეთ გარემოებებს ან უარი უნდა თქვას ისეთი სახის შეთავაზებაზე, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი ან/და პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განხორციელებაზე.
2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი, უფლებამოსილი პირი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში:
ა) ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის წესები ან/და დადგენილი მოთხოვნები და ქცევის ზოგადი წესები;
ბ) უნდა განაცხადოს კონკრეტულ მიმწოდებელთან მიმართებით ფინანსური ან სხვა პირადი ინტერესის არსებობის ფაქტი;
გ) უნდა განაცხადოს აცილება და არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, რომელშიც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი;
დ) არ უნდა გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება ან საჯარო რესურსები კერძო ინტერესების სასარგებლოდ, კერძოდ, არ უნდა გამოიყენოს პროფესიული საქმიანობის პროცესში მიღებული ინფორმაცია პირადი ინტერესებისთვის;
ე) ბოროტად არ უნდა გამოიყენოს მიმდინარე სამსახურებრივი უფლებამოსილება კონკრეტულ მიმწოდებელთან შემდგომი დასაქმების მიზნით;
ვ) არ უნდა დაუშვას პოტენციურ ან არსებულ მიმწოდებელთან მისი შემდგომი დასაქმების პერსპექტივის შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნა. მან მაშინვე

უნდა შეატყობინოს თავის უშუალო ხელმძღვანელს (ზემდგომ ორგანოს) დასაქმების იმ შეთავაზების შესახებ, რომელმაც შესაძლებელია წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი;
ზ) დაიცვას შემდგომი დასაქმების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ მიმწოდებელთან შემდგომ სამსახურებრივ საქმიანობას.

მუხლი 10. კონფიდენციალურობის პრინციპი

1. ინფორმაცია, რომელიც უფლებამოსილი პირისთვის ცნობილი გახდა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას და არ არის საჯარო, კონფიდენციალურია.
2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს კონფიდენციალურობის პრინციპი, უფლებამოსილი პირი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ვალდებულია:
ა) შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე არ გაამჟღავნოს ან პირადი მიზნებისთვის გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;
ბ) დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ არაუფლებამოსილ პირებს, კერძოდ, არსებულ ან პოტენციურ მიმწოდებლებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ;
გ) უზრუნველყოს პროფესიული საქმიანობის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის დაცვა;
დ) აცნობოს შესაბამის უწყებას/უფლებამოსილ პირს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელისშემშლელი გარემოების შესახებ;
ე) დაიცვას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც, კერძოდ, არსებული ან პოტენციური მიმწოდებლების მიმართ.

მუხლი 11. გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპი

1. უფლებამოსილმა პირმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მისთვის დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულოს ზედმიწევნით, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით, რა დროსაც უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და წინდახედულობა.
2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპი, უფლებამოსილი პირი ვალდებულია:
ა) ზედმიწევნით განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
ბ) ზედმიწევნით შეამოწმოს მიმწოდებლის ყველა მონაცემი;
გ) დაკვირვებით გაანალიზოს წარდგენილი წინადადებები;
დ) ზერელედ არ შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები;
ე) გამოიყენოს მისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის მინდობილი, ერთი მხრივ, თანამშრომლები და, მეორე მხრივ, ქონება, ობიექტები, მომსახურება და ფინანსური რესურსები ეფექტიანად და ეკონომიურად.

მუხლი 12. გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი

1. უფლებამოსილმა პირმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უნდა დაიცვას გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი, კერძოდ, მისი ნებისმიერი ქმედება სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას უნდა იყოს ღია კანონით დადგენილ ფარგლებში.

2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი, უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მიღებული ინფორმაციის საჯაროობა და მიწოდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის კანონით დადგენილ ფარგლებსა და ვადებში;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ კანონით დადგენილ ფარგლებში.

მუხლი 13. ანგარიშვალდებულების პრინციპი

1. უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში.

2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს ანგარიშვალდებულების პრინციპი, უფლებამოსილმა პირმა:

ა) უნდა განმარტოს ამომწურავად მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მზად უნდა იყოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებისა და გარემოებების შესახებ;

ბ) მზად უნდა იყოს მისი ქცევისა და გადაწყვეტილებების მიმართ საზოგადოების მხრიდან განხორციელებული კონტროლისთვის.

მუხლი 14. პროპორციულობის პრინციპი

1. უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა ხელმძღვანელობდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით და თანაბარზომიერად ითვალისწინებდეს საჯარო და კერძო ინტერესებს.

2. საჯარო ინტერესების გათვალისწინებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ უნდა გამოიწვიოს მიმწოდებლების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი და არათანაბარზომიერი შეზღუდვა.

მუხლი 15. პროფესიონალიზმის პრინციპი

1. უფლებამოსილმა პირმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მისთვის დაკისრებული მოვალეობა უნდა განახორციელოს მაღალ პროფესიულ დონეზე.

2. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს პროფესიონალიზმის პრინციპი უფლებამოსილი პირი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ვალდებულია:

ა) გააჩნდეს ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება, რომელიც საჭიროა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის კვალიფიციურად წარმართვისთვის;

ბ) გამოიყენოს თავისი ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება, რომელიც სავალდებულოა სახელმწიფო შესყიდვების კვალიფიციურად განხორციელებისათვის;

გ) არ შეასრულოს ისეთი სამუშაო, რაშიც მას არა აქვს სათანადო პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, შესაბამისი კონსულტაციის მიღებამდე;

დ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გამოიყენოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და თავისი ცოდნა და გამოცდილება;

ე) თავი უნდა აარიდოს ისეთ საქციელს/ქმედებას, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს თავის პროფესიულ და შემსყიდველი ორგანიზაციის რეპუტაციას;

ვ) მუდმივად ზრუნავდეს თავისი ცოდნის განახლებასა და გაღრმავებაზე, პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

თავი III
ურთიერთობის ეთიკა სამუშაო ადგილზე და კოდექსის აღსრულება

მუხლი 16. ურთიერთობა სამუშაო ადგილზე და მესამე პირებთან

1. უფლებამოსილმა პირმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უნდა იმოქმედოს კოლეგიურობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი პრინციპებისა და ნორმების დაცვით.
2. უფლებამოსილი პირი თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში უნდა იყოს თავაზიანი, როგორც კოლეგების, ასევე მესამე პირების მიმართ, თავი უნდა აარიდოს სამუშაო ადგილზე ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნასა და ესკალაციას.
3. უფლებამოსილი პირი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია გაუწიოს პროფესიული და კვალიფიციური დახმარება იმ კოლეგებს, რომელთაც ეს ესაჭიროებათ.
4. უფლებამოსილი პირი ვალდებულია წინამდებარე კოდექსის შინაარსი გააცნოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ჩართულ მესამე პირს, რომლის აზრსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს გავლენა გადაწყვეტილებაზე (მაგალითად, ექსპერტი, სპეციალისტი), რომელმაც ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ დაიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.
5. შემსყიდველი ორგანიზაციები ეთიკის საკითხების კონტროლისა და ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან.

მუხლი 17. კოდექსის აღსრულების მექანიზმები

1. უფლებამოსილმა პირმა განმარტებისათვის უნდა მიმართოს თავის უშუალო ხელმძღვანელს (ზემდგომ ორგანოს) წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული დებულებების ინტერპრეტირებისას წარმოქმნილი კითხვების შემთხვევაში.
2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია წინამდებარე კოდექსის შინაარსი გააცნოს თანამშრომელს, რომელმაც ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ უერთგულებს ამ კოდექსით დადგენილ პრინციპებსა და ქცევის წესებს.
3. ამ კოდექსით გათვალისწინებული დებულებების დარღვევა შესაძლებელია გახდეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძველი.
4. უფლებამოსილი პირების უშუალო ხელმძღვანელებმა (ზემდგომმა ორგანომ) უნდა გააკონტროლონ უფლებამოსილი პირების მიერ ამ კოდექსით დადგენილი პროფესიულ-ეთიკური პრინციპების დაცვა და დარღვევის შემთხვევაში გამოიყენონ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები.
5. უფლებამოსილი პირის უშუალო ხელმძღვანელმა (ზემდგომმა ორგანომ) უნდა უზრუნველყოს ამ კოდექსის საჯაროდ ხელმისაწვდომობა მისი გაცნობის მიზნით.